წერილის ნომერი: **14-1422280230**
თარიღი: **07/10/2022**

ადრესატი: აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

ბატონო ჯაბა,

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხილული იქნა თქვენი 2022 წლის 29 აგვისტოს №01-01-10/3874 (№04-1422241383-14) წერილი, რომელიც ეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, კოწია ერისთავის ქ. №14-ში მდებარე 16136,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ № 05.35.28.140) ნაწილის, კერძოდ 10855,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ზედ განთავსებული 1133,90 კვ.მ. შენოა-ნაგებობის პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრებას. გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პრივატიზება.

„სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №12 დადგენილებით, ქ. ბათუმში, კოწია ერისთავის ქ. №14-ში არსებული 16136,00 კვ.მ. (ს/კ № 05.35.28.140) მიწის ნაკვეთი განეკუთვნება პერიფერიული ზონის III ქვეზონას. აღნიშნულ ქვეზონაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 56,70 (ორმოცდათექვსმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარს.

ამასთან, გეგზავნებათ თქვენს წერილში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს (№37-1422273439; 30.09.2022წ.) და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მიერ მომზადებული ინფორმაცია (№06-14222443; 01.09.2022წ).

დანართი „10“ ფურცელი

პატივისცემით,

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი